ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N 7

2021 წლის 06 აპრილი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 37-ე, 39-ე და მე-40 მუხლების, 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტის, მე-7 და მე-8 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი"-ის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 სექტემბრის №58 განკარგულების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ად გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად:

ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა დანართი № 2-ის შესაბამისად;

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი